

6

ბავშვთა განვითარების



სულაკაურის
ბავშვთა განვითარების

კუ

ნიმუ გორდელაკა • თინათინ კუსინიკა
მარიამ მებრეველი

ნამდვილი და მოგონილი აშუები

კამლი

კატა



საკითხავი და სავარჯიშოები
„კითხვის საათისათვის“

საჩივრი

წაკითხვის გააზრება

ბიბო (რ. ინანიშვილი).....	4	მანანალა რასმუსი (ა. ლინდგრენი).....	42
მე ბიჭი ვარ (ი. ლომოური).....	11	ტკივილი? - არა, რაღაც და გათავდა	
უემური გულმარხიანთა სამეფოში		(გ. რჩულიშვილი).....	48
(ი. ლომოური).....	22	ბერძნული მითოლოგია.....	51
ჩე, ანუ თეთრი ქალაქი (ნ. ცირაშა).....	32	ტიმ სევერინის მოგზაურობა.....	58
წერტილი და მძიმე (გ. ჩოხელი).....	37		

მწერლის სახელოსნო

თხრობის „მთაგრეხილი“.....	64	ადგილები, ადგილები.....	80
შთამბეჭდავი სათაური.....	68	მხატვრულად წერა.....	82
დასაწყისი.....	70	ამბების მოყოლა.....	86
აღმა-დაღმა.....	72	განაგრძე წერა.....	88
დასასრული.....	76		

ნინო გორდელაძე, თინათინ კუხიანიძე,
მარიამ მეტრეველი

ნამდვილი და მოგონილი ამბები
საკითხავი და სავარჯიშოები მეექვსეკლასელთათვის

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
თბილისი
2015

რედაქტორი ნინო ნეკერიშვილი
ილუსტრატორები: ია მახათაძე, თეიმურაზ ფხიკიძე
ყდის დიზაინერი თამუნა თათელაძე
დიზაინერები: ია მახათაძე, თინათინ ბერბერაშვილი

ISBN 978-9941-23-273-2

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2015
ყველა უფლება დაცულია

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელ. ფოსტა: info@sulakauri.ge

GEORGIAN 6
Activity Book

© Bakur Sulakauri Publishing, 2015
All rights reserved.


www.sulakauri.ge

წაკითხულის გააზრება

წიგნის ამ ნაწილში მოცემულია:

თქვენი ასაკისთვის შესაბამისი მხატვრული და
შემეცნებითი ტექსტები, სახალისო ილუსტრაციები,
ცხადი ინსტრუქციები და შეკითხვები წაკითხულის
გააზრების უნარის გასაფართოებლად.

ბიბო



რევაზ
ინანიშვილი

ბიბო პატარა ბიჭია. პატარაა, აბა, მაშ, რა არის, ჯერ ხუთი წლისაც კი არ გამხდარა! გრძელი ლამის პერანგი აცვია და ისე სძინავს. გადაიხდის საბანს და გდია საბერე კიტრივით არხეინად საბანგადახდილი. ძალიან კი სწყინს ხოლმე, ვინმე რომ ეტყვის, პატარა ხარო. პატარა, მე კი არა, ჩვენი რობიზონააო. რობიზონა ვილაა? ბიბოს ბიძაშვილი. სულ რაღაც ცხრა თუ ათი თვით უმცროსია ბიბოზე, მაგრამ ბიბო ისე ექცევა, როგორც ნამდვილ დიდს შეჰფერის. არიგებს: ასე და ასე მოიქეციო. მფარველობს კიდეც – ბიბოს შიშით ვერც ერთი ბიჭი ცუდს ვერას გაუბედავს რობიზონას. თუ მაინც გაუბედეს? მაშინ ბიბო ერთს ღრმად ჩაისუნთქავს, ლოყებს დაბერავს და ბაყბაყდევივით დააბრიალებს თვალებს. ბაყბაყდევივით თვალებმობრიალე ბიჭს კი, აბა, ვინ უნდა დაუდგეს წინ!

ზოგიერთ უხეიროს კი არა ჰგავს, მოსვენებას რომ არ აძლევენ დედას და ბებიას. საჭმელია, ძალით უნდა ჩასჩარო ამ უხეიროებს, ძილია და... დანვებიან და დაიწყებენ ჩხავილს – ზღაპარი მიაბზეთ, თორემ ისე არ დავიძინებო.

ბიბო დიდივით მიუჯდება მაგიდას, თვითონვე აიფარებს ხელსაწმენდს გულზე, მარჯვენა ხელში დიდ კოვზს დაიჭერს, მარცხენაში – დიდ პურს და დინჯად, საქმიანად შეუდგება ჭამას. კერძს რომ გაათავებს, ახლა ჩაის მოითხოვს, ჩაისაც წყნარად, დაგემოვნებით დალევს, მოინმენდს ტუჩებს, – აგაშენოთო, – იტყვის ნამდვილი კაცივით და წამოდგება.

ღამეა. დედა საკერავ მანქანას უზის. ბებია საბანს ალიანდაგებს, – პრიალა ნემსით მართლაც ლიანდაგივით სწორი ხაზები გაჰყავს საბნის ერთი კუთხიდან მეორემდე.

– ხომ არაფერი გჭირდებათო! – იკითხავს ბიბო.

– შენი კარგად ყოფნა და გახარებაო, – მიუგებენ დედა და ბებია, – დანექ ახლა და დაიძინეო.

ბიბო დიდ, დამრგვალებულ მუცელზე აისვამს და დაისვამს ხელს, ლოყებს გამობერავს – არ უყვარს, ასე, პატარასავით რომ ეალერსებიან დედა და ბებია. ცოტა ხანს ბაზურა კატას მიუჯდება. ბაზურა, აქამდე რომ არხეინად ინვა ლუმელის ქვეშ, ბიბოს მიახლოებისთანავე წამოდგება და ნელა გაძვრება ლუმელის იქითა მხარეს.

– ჭკვიანი ბიჭია ეს ჩვენი ბიბო, – იტყვის ხოლმე ბაზურა, – მაგრამ რა ვიციო, მაინც ბიჭიაო, ვინ არის თავდები, რომ ერთ დღეს შიგ ძირში არ მომაჭრას კუდი თავისი წალდუნათიო?! ამიტომაო, – იტყვის ხოლმე ბაზურა, – ისევ გაცლას ვამჯობინებო.

შეძვრება ტახტის ქვეშ, მოიკუნტება კოხტად, თათს თავქვეშ ამოიდებს და ახლა იქ განაგრძობს ძილსა და კრუტუნს.

ბიბო კი დაამთქნარებს. ეს იმის ნიშანია, რომ იმასაც ეძინება. მაგრამ ისე არ დაიძინებს, ერთხელ კიდევ არ გავიდეს გარეთ და ერთხელ კიდევ არ გახედოს გზას – აბა, მამაჩემი ხომ არ მოდისო. მამამისი, შაქრო, შოფერია*. უზარმაზარი „ზილი“** დაჰყავს და ხან მთელი კვირაობით მიდის შორს, ყიზლარში. ახლაც ყიზლარშია და მის მოლოდინში თვალი გზაზე აწყდება ბიბოს. გადგება აივანზე და შემოიყრის დოინჯს. ძირს ჩაბნელებული ივრის დიდი ქალაა, იმ ქალის იქით – ნალმიანი გორა, იმ გორაზე კი შარაგზა მიიკლაკნება და ზედ ციციანათელებივით მიცოცავენ მანქანები.



– ნეტავ მამაჩემის მანქანა, აგერ, ის იყოს, აგერ! – იტყვის ბიბო ხან ერთზე, ხან მეორეზე, მაგრამ მანქანები ქალისკენ არ უხვევენ. ისინი ზემოთ, გომბორისკენ მიდიან და ბიბოს გული სწყდება.

– ეჰეჰე! – დაადევნებს ვაჟკაცურ ძახილს, – ეჰეჰე!

მაგრამ იქიდან კი არ ღებულობს პასუხს, მეზობელი სახლიდან დაეხმაურება ვილაც:

– ეჰეჰეი, ბიბო!..

ეს რობიზონაა, პატარა რობიზონა. ისიც აივანზე გამოდის და დიდი ხნის უნახავივით ხელებანეული, გახარებული ეძახის ბიბოს:

– ბიბოოო! ბიბოოო!..

ბიბოს არ უყვარს, სხვა ვინმე რომ ერევა მის ამგვარ ოცნებებში, მაგრამ რობიზონა პატარაა, ჯერ ჭკუა არა აქვს, ამიტომ მხოლოდ კეთილი მოხუცივით ტუქსავს:

– რაღა დროს შენი ღვიძილია, ბიჭო, ნადი, დანეჩი ახლავე!

და რობიზონას შინ შესვლას აღარ დაუცდის, თვითონ შებრუნდება შინ, დინჯად გაიხდის ტანსაცმელს, კობტად დააწყობს ერთ ადგილას, დანვება და დაიძინებს.

გათენებას ჯერ ბევრი აკლია, რომ ერთი პირობა მაშინ გაიღვიძებს. დედას და ბებიას სძინავთ. ეცოდება, არ უნდა, შეანუხოს. ნევს გატვრენილი, აპარპალებს იმ დიდრონ თვალებს და იცდის, იქნებ თავისით გაიღვიძონო, მაგრამ თავისით არ იღვიძებენ და როდემდე იქნება ასე, კაცს პური შია!

– ბებო! – გადასძახებს ჩუმად.

– რაო, შემოგველე! – იმწამსვე გამოეპასუხება ბებია.

– კარაქიანი პური მომიტანე რა, ცოტა!

* შოფერი – ბარბარიზმი (რუსულიდან) – მძღოლი

** „ზილი“ – სატვირთო მანქანის ერთ-ერთი მოდელი

მიუტანს ბებია კარგა მოზრდილ კარაქიან პურს. ილუკმება ბიბო და თან ფიქრობს... უუ, რაზე აღარ ფიქრობს. რამდენი რამაა ამ ქვეყანაზე საფიქრალი! მამა ჯერ არ დაბრუნებულა ყიზლარიდან. იმ სიგრძე გზაა, აქეთ შავი კლდეები, იქით – უფსკრულები და ფაფარაყრილი თერგი, ეუჰ! ფაფარაყრილი თერგი! ჰაერში კიდეც ნისლებია გაკიდებული. თანაც ათასი მთვრალი შოფერი დადის, ათასი ზვავია, ათასი ოხრობაა... მამა კიდეც ფიცხია, სულ ჩქარობს. ნეტავ რა ეჩქარება! როცა ნელა მიდიხარ, განა მაშინ უფრო კარგად არა ჩანს ყველაფერი?! მერმისს შენც წაგიყვანო. ეუჰ, რა იქნება! ნეტავ მართლა მოერევა დათიკაანთ ძალლი ჩვენსას? ერთი კომმზე უნდა გამოვცადო ჩემი ნალდუნა, კომში მაგარიაო... ილუკმება, ილუკმება ბიბო, ფიქრობს, ფიქრობს და ჩაეძინება ასე.

როცა ხელახლა გაიღვიძებს, უკვე ქვეყანასაც ღვიძავს. დედა კოლმეურნეობაშია* ნასული. ბებია მარანში აბრახუნებს რალაცას. ვეებერთელა მზე აივნის ბოდსა და ბოდს შუა გაჩერებულა და ბიბოს ელოდება. ბიბოც გადის ფეხშიშველა, თვალების ფშვნეცით. ახლა იქით ის ვეებერთელა მზეა აივნის ბოდსა და ბოდს შუა, აქეთ – ბიბო. ერთხანს ჯიუტი ბოტებივით** ათვალერებენ ერთმანეთს. მერე ბიბო მხარს შეაქცევს, – მე შენი აყოლა რას გამომადგებაო, – ტანსაცმელს ჩაიცვამს წვალებით, ხვნიშით, მაგრამ გმირული სიჯიუტით. ფეხსაცმელსაც შეიკრავს და ნელ-ნელა ჩავა კიბზეუ.

მზე მაინც თავს არ ანებებს. მისდევს და იცინის მხიარულად. რატომ არ იქნება მხიარული, რა! აინევს ასე, აინევს და მერე არხეინად ჩაგორდება წალმიანის უკან. ბიბოს კი რამდენი საქმე აქვს მოსაგვარებელი: საქათმეში უნდა შეძვრეს და ნახოს, დადო თუ არა კვერცხი ქოჩორა დედალმა. ძალლი უნდა წაიყვანოს და დათიკაანთ ძალლს აჩხუბოს. ნალდუნაც ხომ უნდა გამოცადოს კომმზე?! გუშინ ამწე მოიტანეს სკოლის მშენებლობაზე, დღეს მაინც არ უნდა ნახოს, როგორ მუშაობს ის ამწე? თანაც... ჯანლივით შემოხვევია ეს ფიქრი გულზე: მამა ჯერაც არ დაბრუნებულა ყიზლარიდან. ეეჰ, მამა ჯერაც არ დაბრუნებულა ყიზლარიდან.

– ბიბოს გაუმარჯოს, ბიბოს! – ესალმებიან მეზობლები.

– გაგიმარჯოთ.

– როგორა ხარ, კაცო, ბიბო!

– გული დარდიანი მაქვს.

– რათა, კაცო, რათა!

– მამაჩემი ყიზლარშია და...

– მოვა, კაცო, მაგაზე რა გადარდება.

– რა ვიცი, გზაა, ათასი მთვრალი დაეხეტება, ზვავია, ათასი ოხრობაა.

– ოხ-ო-ხო! რა ხარ, კაცო, რა ხარ! – გაიკვირვებენ მეზობლები და მართლაც გაკვირვებულები წავლენ, – რა არის ეს, რა უცნაური ყმანვილიაო, კაცოო, რა გამოვა ნეტავ მაგისგანაო!

* კოლმეურნეობა – იგივე, კოლექტიური მეურნეობა; საბჭოთა პერიოდში არსებული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია, რომელიც წარმოიქმნებოდა გლეხურ მეურნეობათა გაერთიანების შედეგად.

** ბოტი – მამალი თხა, ფარის წინამძღოლი; მისი სინონიმია ვაცი. გადატანითი მნიშვნელობით – ყოჩაღი, მამაცი.

– რა უნდა გამოვიდე და შოფერიო, – ეუბნება ყველას ბიბო.

– აბა, შენ იცი, აბა, შენ იციო! – უხარიათ მეზობლებს...

უხარიათ, რადგან იციან, რომ, თუ გამოვა, მისგან გამოვა დინჯი, ჭკვიანი შოფერი. ჩაგსვამს მანქანაში, გატარებს სულ წყნარად, სულ წყნარად. შეიძლება, შორი გზითაც მოგატაროს ცოტა, მაგრამ შინ მაინც მშვიდობით მიგიყვანს ყოველთვის. ეს კი მთავარია. ასეთი დინჯი, ჭკვიანი შოფრები ესაჭიროება ქვეყნიერებას. და ლოცავენ ყველანი:

– გაიზარდე, შერჩი შენს დედ-მამასაო.

ბიბოც იზრდება და იზრდება. ამაყად დააბიჯებს ამ დიდ, ღონიერ დედა-მინაზე და ჯერჯერობით, სანამ მთლად დიდი გაიზრდებოდე, სანამ შოფერი გახდებოდე, თავის ბავშვურ საქმეებს აგვარებს ხვნეშით, გამირული სიჯიუტით.

თან დაჰყვება მისი მეგობარი მზეც.

გაიაზრე:

1. მწერალი მოთხრობას ბიბოს გაცნობით იწყებს. როგორ დაგვარწმუნა მან, რომ ბიბო ჯერ მართლაც პატარაა?

აღნიშნე ორი დამადასტურებელი ფაქტი მოთხრობის პირველი აბზაცის

მიხედვით:

1. _____

2. _____

2. ბიბო ცდილობს, დაამტკიცოს, რომ უკვე დიდია. როგორ ახერხებს ამას თავის ბიძაშვილთან დამოკიდებულებაში? წარმოაჩინე მისი ორი საქციელი:

1. _____

2. _____

3. რატომ აბრიალებს ხოლმე ბიბო თვალებს „ბაყბაყდევივით“?

- ა. თავის ბიძაშვილს, რობიზონს, უმტკიცებს, ძლიერი ვარო;
- ბ. დედას და ბებიას უმტკიცებს, ვერავინ შემაშინებს, არაფრის მეშინიაო;
- გ. თავის კატას, ბაზურას, ასე ეთამაშება, მრისხანედ აჩვენებს თავს;
- დ. აფრთხილებს იმათ, ვინც პატარა რობიზონს ცუდად მოპყრობას გაუბედავს.

4. ვინ ამბობს მოთხრობაში ამ სიტყვებს: „– ხომ არაფერი გჭირდებათ“?

- ა. დედა ეკითხება ბიბოს და ბებიას;
- ბ. მამა ეკითხება წასვლის წინ ოჯახის წევრებს;
- გ. ბიბო ეკითხება დედას და ბებიას;
- დ. მეზობელი ეკითხება ბებიას, ბიბოს და დედამისს.

5. საოჯახო საქმეში ბიბო „ნამდვილი დიდივით“ იქცევა. დაასაბუთე მოთხრობის მიხედვით, რომ ეს მართლაც ასეა; მოიყვანე მაგალითი.

6. რომელ გეოგრაფიულ ადგილებს ასახელებს მწერალი მოთხრობაში? ამოიწერე 3 ადგილი: _____

7. მწერალი ამბობს:

„იმ გორაზე კი შარაგზა მიიკლაკნება და ზედ ციციანათელებივით მიცოცავენ მანქანები“. რაზე მიგვანიშნებს იგი ამ შედარებით?

- ა. ამ ფართო გზაზე ბევრი მანქანა ერთდროულად მიდის;
- ბ. მანქანები უკვე ძალიან მაღლა ასულან;
- გ. შორიდან მოჩანს, რომ ღამით ფარებანთებული მანქანები ფრთხილად ადიან აღმართზე;
- დ. ღამით შორიდანაც დაინახავ, რომ ამ შარაგზას დიდი სატვირთო მანქანები მიუყვებიან.

8. რით გვისაბუთებს მწერალი იმას, რომ ბიბო მგრძნობიარე ბავშვია, მას განმარტოებით ფიქრი სჩვევია? ამოიწერე მოთხრობიდან შესაბამისი წინადადება:

9. როგორი არ არის ბიბო?

ა. უშიშარი ბ. საქმიანი გ. მსუნაგი დ. ამაყი ე. ფიცხი

იმსჯელეთ: როდის ავლენს ბიბო იმ თვისებებს, რომლებიც მას ახასიათებს?

10. რა არის ბიბოს დარდის მიზეზი, რისი ეშინია მას, როდესაც ყიზლარში გამგზავრებულ მამაზე ფიქრობს?

11. მწერალმა, ცხადია, იცის, რომ სიტყვა „შოფერი“ ბარბარიზმია, სალიტერატურო ენაში მას „მძლოლი“ შეესაბამება. მიუხედავად ამისა, რატომ იყენებს იგი სწორედ ამ სიტყვას – „შოფერს“?

ა. ამით მიგვანიშნებს, რომ პატარა ბიბომ ჯერ კარგად არ იცის

სალიტერატურო ენა და სასაუბრო ენით მეტყველებს;

ბ. ამით მიგვანიშნებს, რომ იმ დროისთვის ეს პროფესია უცხო და იშვიათი იყო კახეთისთვის, ამიტომ ამ მხარეში უცხო სიტყვას იყენებდნენ;

გ. იგი განზრახ იყენებს სასაუბრო ენაში შემოჭრილ ამ სიტყვას და ამით

ცოცხალ ბუნებრივ გარემოს ქმნის, მოთხრობას დამაჯერებლობას ანიჭებს.

12. მოთხრობის რომელ მონაკვეთში ჩანს ის, რომ ბიბოს ბუნება უყვარს, ბუნებით ტკბობა შეუძლია?

13. იპოვე მოთხრობაში და ამოიწერე წინადადება, რომლითაც დაასაბუთებ, რომ მზე გასულიერებულია, მას ადამიანის თვისებები მიეწერება:

14. შენი აზრით, რა როლს ასრულებს მოთხრობაში ეს უჩვეულო პერსონაჟი – მზე?

15. ბიბო მამის პროფესიას ირჩევს. კიდევ როდის გრძნობს მკითხველი, რომ პატარა ბიბო მამას ჰბაძავს?

16. რისი იმედი ჰქონდათ მეზობლებს, რას მოელოდნენ ბიბოსგან ისინი?

17. მოთხრობის რომელ მონაკვეთში იყენებს მწერალი ანდაზის შინაარსს: „შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო“?

18. რას ნიშნავს „ჯანლი“?

ა. ძლიერ ნისლს ბ. დიდ თოვლს გ. ძლიერ წვიმას დ. შავ ღრუბელს

19. ამოიწერე მოთხრობიდან მხატვრული ხერხის – შედარების – 3 ნიმუში:

1. _____

2. _____

3. _____

20. ა. შეარჩიე მოთხრობიდან მონაკვეთი, რომლითაც დაადასტურებ, რომ მწერალს მოსწონს თავისი პატარა პერსონაჟი;

ბ. შენ როგორ შეაფასებდი ბიბოს?

მე ბიჭი ვარ...

(ზაზა და ზაზუ)

„ღმერთო, ულხინე ყველა ბავშვს ქვეყანაზე!“
რევაზ ინანიშვილი, „ზამთრისპირის ბინდი“



ირაკლი
ლომშვილი

„მთავარია, არ ვიტყვით, მე ბიჭი ვარ და არ უნდა ვიტყვით“, – გულში იმეორებდა ათი წლის ზაზა. შემოდგომის მოჟამულ, ტალახიან, გადათხრილ ქუჩაში თავჩაქინდრული მიაბოტებდა.

არადა, ეტირებოდა.

ცრიდა.

„რომც ვიტყვით, ვერავინ მიხვდება, – გაუელვა, – ეგონებათ, წვიმის წვეთებია...“

კლასელები წამოეწინნენ – ორი გოგო. ზაზამ გახედა და თვალი უმაღლა მოაშორა. გოგოებს ისედაც ვერ იტანდა, ამ მეტიჩრებს ხომ, საერთოდ... უფრო ზუსტად, პირველს ვერ იტანდა, მეორეს კი – ვერ ამჩნევდა და არც იმჩნევდა, ზედაც არ უყურებდა...

გოგოებმა გადაასწრეს.

– გაგვიანდება, რას მობლაყუნობ?! – პირველმა ისე უთხრა, გეგონებოდა, ბებიამისი იყო და არა თანატოლი.

ზაზამ პასუხის ღირსად არ ჩათვალა. მეორეს კი ზედაც არ შეხედა. არც ერთი წამით...

– ზაზა, როგორ გყავს ზაზუ? – ისევ პირველმა ჰკითხა. ჩაიციინასავით.

ამის გაგონებაზე ზაზა შედგა და ისე შეხედა, გოგოები თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ სკოლისკენ, ქუჩის ბოლოს რომ იდგა, მდინარე ვერეს ნაპირას, შემალღებულზე.

აღარ ჰყავდა ზაზუ. მოუკვდა. ამ დილას.

მოუკვდა!!!

თითქოს კინოფირი უკან დატრიალდაო, ზაზამ დაინახა (კი არ გაახსენდა, დაინახა), როგორ აღვიძებს დედა... რატომღაც თავის თავს გვერდიდან უყურებდა, თითქოს ეკრანზე...

...ფერადი ფოტოებით, პლაკატებითა და ნახატებით მორთულ ოთახში გვერდიგვერდ ორი სანოლი დგას, ერთში ზაზა წევს, მეორეში – მისი უფროსი ძმა, თხუთმეტი წლის გუგა. ბიჭებს სძინავთ. ოთახში შუა ხნის ქალი შედის, ძმების დედა, ხმამაღლა ამბობს: „ადექით! სკოლაში მიდიხართ!“ ბიჭები ყურსაც არ შეიბერტყავენ. დედა ახლოს მიდის, სათითაოდ აჯანჯლარებს, კიდევ უფრო ხმამაღლა, ლამისაა ყურში ჩასძახის: „გაიღვიძეთ! ადექით! დაგაგვიანდებათ!“